- თურქეთის ქალაქი 4
- ებრაელი იოსები 6
- (.....) ნასტასე 4
- ლეგენდარული ფინელი მორბენალი 5
- ღმერთი 5
- ტროპიკული ხილი 7
- ძაბვა 5
- წყლის ჭურჭელი 4
- დამწვარი 8
- აშშ-ს შტატი 5
- ცხენი 4
- გუდიაშვილი 4
- რა გადაარჩენს საქართველოს? 10
- რუსეთ. ყოფ. შსს მინისტრი 5
- ცნობილი მოდელიორი 4
- სიმი 4
- მავნებელი მწერები (მრ.რ.) 7
- კომუნისტური კუნძული 4




**Horizontal clues (left):**

- წყლის ჭურჭელი 5
- კამათი 4
- ფილიპინების ყოფ. პრეზიდენტი 7
- მეცხვარეების „რთველი“ 4
- ვერონიკა კასტროს „მდიდარი“ პერსონაჟი 7
- (.......) პანფილოვი 4
- კერძო პირის ანაბარი ბანკში 6
- 30-იან წწ მოსკოვში მოღვაწე დიდი თეატრალური რეჟისორი 10
- საბერძნეთი 5
- იგივე ტროა 6
- ინდოეთში მოღვაწე რუსი მხატვარი 6
- კვესის კოლეგა 5
- ციცინათელების დედოფალი 4
- დიდი მევიოლინე 8
- კალმანი 4
- (.......) ილიესკუ 3
- მოთავე 10
- აიდაჰოს ადმ. ცენტრი 5
- რუსების კრება 4
- კათოლიკე ღვთისმსახური 5
- სომხეთის მწვერვალი 7
- ირანის ლომად წოდებული შაჰი 5
- მემკვიდრე 5
- დიდი ინდოელი 4
- ხალიჩა 4
- სიმონა დოლიძე იყო 6
- მაია წყნეთელის მასწავლებელი 6
- დამდგარი მზის შუქი 5
- სამოსი 4
- „რეალის“ მეკარე 8
- კაპასი 5
- გერმანიის ქალაქი 4

13

| Clue | Length |
|---|---|
| (.......) უინფრი | 4 |
| ცაგერის რ-ნ სოფელი | 7 |
| ფანდი | 5 |
| ჩეხი კომპოზიტორი | 7 |
| ძვ.ბრაზილ. ფეხბურთელი | 6 |
| რუსეთის მდინარე | 4 |
| ბანგი | 6 |
| რკინის ჯოხი | 4 |
| დორიანი | 4 |
| თიხის ნაკეთობა | 8 |
| გარეული ცხვარი | 5 |
| წერილი | 6 |
| დიდი ჯოხი | 5 |
| გორის რ-ნ სოფელი | 5 |
| მეკვლე | 6 |
| უკრაინა-უნგრეთის საზღვარზეა | 4 |
| „შაჰნამეს“ როსტომის წინაპარი | 5 |
| წინაპარი | 5 |
| იტალიის ქალაქი | 7 |
| მსახიობი - იმპერატორი | 6 |
| ფუნდუკი - ევროპაში | 7 |
| სისველე | 4 |
| იხილეთ ფოტო | |
| (.......) გურგულია | 5 |
| ძვ.ევროპული ფული | 6 |
| კონტინენტი | 10 |
| წითელი დღე | 5 |
| დოდო ჭიჭინაძის პერსონაჟი | 4 |
| ფრანგი ფეხბურთელი | 5 |
| გარეშე პირი | 4 |
| ოფელიას ძმა | 6 |
| ნაკეცებიანი კაბა | 5 |
| საკვები ბალახი | 6 |
| ბაზილიოს მეგობარი | 5 |
| (.......) ფოცხიშვილი | 5 |
| ძელი | 4 |
| სამოსი | 4 |
| ატამი ასეთიცაა | 7 |
| აშშ-ს ქალაქი | 6 |
| რუსი მეფე | 8 |
| ყაზბეგის მოთხრობა | 5 |
| ურანის თანამგზავრი | 7 |
| (......) ლუჩკო | 5 |
| ინდონეზიური ჯუჯა პირუტყვი | 4 |
| მილა | 8 |
| იტალიური ლიტერატურის ფუძემდებელი | 5 |
| წყლის ჭურჭელი | 4 |
| მსახიობ თალაკვაძეს ჰქვია | 6 |
| ბანქოს ქალი | 4 |
| პარფიუმერია | 9 |
| ძვ.საბრძოლო იარაღი | 5 |
| კომენტატორის შეძახილი | 4 |
| დიონისეს მეორე სახელი | 5 |
| მტკვარს ერთვის | 5 |
| ძვ.იაპონელი ფეხბურთელი | 8 |
| ინდონეზიის კუნძული | 4 |
| ფრინველი | 4 |
| ხორციანი სადილი | 4 |
| ჩანაფიქრი | 4 |
| სოფელი მცხეთის რაიონში | 7 |



პორტუგალიელი ზღვაოსანი

# მე-20 საუკუნის 500 ყველაზე ცნობილი ადამიანი

442. **პიერ ტრიუდო**
Trudeau, Pierre (1919 -)
კანადელი პოლიტიკოსი

იურიდიული განათლების მიღების შემდე აქტიურად ჩარეთო პოლიტიკაში და პირველივე ქმედება კვებეკის პროვინციის საკითხში მონაწილეობის მიღება იყო. 1965 წელს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიღების შემდეგ არჩეულ იქნა პარლამენტშიც. 1967 წელს გახდა იუსტიციის მინისტრი, 1968-79 და 1980-84 წლებში იყო კანადის პრემიერ-მინისტრი.

443. **ფრანსუა ტრიუფო**
Truffaut, Francois (1932-1984)
ფრანგი კინორეჟისორი

მეტად მძიმე ბავშვობის გამოვლის შემდეგ ფრანსუა ტრიუფომ შეძლო სურვილის ახდენა და კინოში დაიწყო მუშაობა, თუმცა 1959 წლამდე ვერ მოახერხა დამოუკიდებლად ფილმის გადაღება, პირველი ფილმი („400 დარტყმა“) კი პრაქტიკულად ავტობიოგრაფიული გა-ხლდათ და სწორედ იმ ძნელბედობით აღსავსე ბავშვობას ეხებოდა. განსაკუთრებული ნაყოფიერებით აღინიშნა ტრიუფოსათვის 60-იანი წლები, როცა მან მსოფიო კინოსათვის მეტად ღირებული ფილმები შექმნა, 1973 წელს კი მისი ნამუშევარი („ამერიკული ღამე“) და ზოგადად შემოქმედება „ოსკარის“ პრემიით აღინიშნა.

444. **ჰარი ტრუმენი**
Truman, Harry (1884-1972)
აშშ-ს პოლიტიკოსი

აშშ-ს 33-ე პრეზიდენტი (1945-53 წწ) დემოკრატიული პარტიიდან, ერთ-ერთი ინიციატორი ნატო-ს ბლოკის შექმნისა. დაიბადა მისურის შტატის ქალაქ ლამარში, მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში (საარტილერიო ჯარები) და ფრონტიდან მაიორის წოდებით დაბრუნდა. 1934 წელს არჩეულ იქნა აშშ-ს სენატში. ჰარი ტრუმენი ისტორიაში დარჩება თუნდაც იმ ფაქტის გამო, რომ მან ერთპიროვნულად მიიღო გადაწყვეტილება და გასცა ბრძანება 1945 წლის 6-9 აგვისტოს იაპონიის ქალაქების ჰიროსიმასა და ნაგასაკის ატომური დაბომბვის შესახებ.

445. **ბარბარა ტაჩმანი**
Tuchman, Barbara (1912-1989)
ისტორიკოსი, მწერალი

სამეცნიერო ასპარეზზე სახელის მოხვეჭის შემდეგ ბარბარა ტაჩმანმა განიზრახა ისტორიული ფაქტების საფუძველზე ლიტერატურულ-პუბლიცისტური ნაწარმოებების შექმნა და 60-80-იან წლებში გამოაქვეყნა მთელი რიგი წიგნებისა, სადაც ასახულია ამერიკის პოლიტიკური ცხოვრების პერიპეტიები XX საუკუნის პირველ ნახევარში. 1978 წელს დაჯილდოვდა პულიტცერის პრემიით. მისი შემოქმედების ძირითადი მიზანი სამეცნიერო ცოდნის პოპულარიზება და ფართო მასებამდე მიტანა იყო.

446. **ტედ ტერნერი**
Turner, Ted (1938 -)
ამერიკელი მეწარმე

ტედ ტერნერის მოღვაწეობის ძირითად სფეროს თანამგზავრულ-სატელევიზიო კომუნიკაციები წარმოადგენს. არის რამოდენიმე ტელეარხის მფლობელი („ტერნერ ბროდქასტინგ სისტემ“ - ტი-ბი-ეს, „ტერნერ ნეტუორკ ტელევიჟენ“, „სი-ენ-ენ რეიდიო“), ითვლება სპორტის და ეკოლოგიური მოძრაობის ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ სპონსორად და ორგანიზატორად.

447. **დესმონდ მპილო ტუტუ**
Tutu, Desmond (1931 -)
სამხრეთ აფრიკელი სასულიერო პირი

1978-85 წლებში იყო სამხრეთ აფრიკის ეკლესიათა საბჭოს გენერალური მდივანი, ეპისკოპოსი. აქტიურად იყო ჩართული პოლიტიკაშიც და იბრძოდა აპართეიდის და რასობრივი დისკრიმინაციის წინაამდეგ. 1984 წ მისი მოღვაწეობა აღინიშნა ნო-


ტრუმენი


დ.მ.ტუტუ

ბელის პრემიით მშვიდობის დარგში.

448. **მუასი ჩომბე**
Tshombe, Moise
(1892-1980)
კონგოს პოლიტიკოსი

მოღვაწეობა დაიწყო როგორც ბიზნესმენმა, მაგრამ მალე გადაერთო პოლიტიკაზე და 1959 წელს საკუთარი პარტიაც შექმნა. 1960 წელს, კონგოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, გახდა ერთ-ერთი პროვინციის მმართველი. 1960 წლიდან აქტიურად ჩაება ე.წ. „კონგოს კრიზისში“ და თავისი შეიარაღებული რაზმით დაუპირისპირდა სამთავრობო ჯარებს, სადაც მარცხი იწვნია და იძულებული გახდა გაქცეულიყო ქვეყნიდან, მაგრამ მალევე დაბრუნდა და კოლიციურ მთავრობას ჩაუდგა სათავეში. 1966 წელს გამოაცხადეს მოღალატედ და კვლავ გააძევეს ქვეყნიდან. გარდაიცვალა ემიგრაციაში.

449. **სტიუარტ ადელი**
Udall, Stewart (1920-1998)
აშშ-ს სახელმწიფო მოღვაწე

იყო პრეზიდენტ კენედის პოლიტიკის აქტიური მხარდამჭერი, რომლის მმართველობის წლებშიაც ამერიკის შინაგან საქმეთა უწყებას განაგებდა. აქტიური პოლიტიკიდან გასვლის შემდეგ გამოაქვეყნა პუბლიცისტურ-მემუარული ხასიათის რამდენიმე ნაშრომი.

450. **ვალტერ ულბრიხტი**
Ulbricht, Walter (1893-1973)
ალმ.გერმანიის სახელმწიფო მოღვაწე

კომუნისტური პარტიის წევრი გახდა 1918 წელს. ჰიტლერის მმართველობის წლებში გაძევებული იყო გერმანიიდან. 1950-იანი წლებიდან სათავეში ჩაუდგა ახლადშექმნილი გერმანიის დემოკრატიული რეპუბლიკის (გდრ) კომუნისტურ პარტიას და 1971 წლამდე იყო მისი გენერალური მდივანი. 1960 წლიდან იყო გდრ-ს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე. სწორედ მისი მმართველობისას, 1961


ტედ ტერნერი


ლეხ ვალენსა

წელს აშენდა „ბერლინის კედელი“.

451. **ჯონ აპდაიკი**
Updike, John (1932 -)
ამერიკელი მწერალი


ჯონ აპდაიკი

გამოირჩევა ლიტერატურული მოღვაწეობის მრავალმხრივობით, რის დასტურიცაა მისი პროზაული, პუბლიცისტური თუ პოეტური ნაწარმოებები. შემოქმედებითი თვალსაზრისით ხასიათდება სოციალურ-ფსიქოლოგიური და ირონიული ფაქტორების დემონსტრირებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მითოლოგიური ელფერით შემოსილი რომანი „კენტავრი“ (1963 წ), რომელშიც სიკეთის უკვდავება და მასთან შეჭიდებული ადამიანების ტრაგიკული ბედია ასახული. უკანასკნელი წლების ნაწარმოებებიდან ცნობილია ე.წ. „იდეების რომანი“ სათაურით „როჯერის ვერსია“ (1988 წწ).

452. **ვიქტორ ემანუელ III**
Victor, Emmanuel III
(1869-1947)
იტალიის უკანასკნელი მეფე

იტალიის სახელმწიფოს სათავეში ჩაუდგა მამამისის მკვლელობის შემდეგ 1900 წელს. მისი არასწორი პოლიტიკური ორიენტაციის გამო იტალია პირველი მსოფლიო ომის ბრძოლებში იქნა ჩათრეული. 20-იან წლებში, მას შემდეგ, რაც იტალიის მთავრობას სათავეში ბენიტო მუსოლინი მოექცა, მეფემ ფაქტიურად დაკარგა მმართველობის ყველანაირი ბერკეტი და 1946 წლამდე ქვეყნის ნომინალურ მეთაურად ითვლებოდა.

453. **გორ ვიდალი**
Vidal, Gore (1925-)
ამერიკელი მწერალი

ვიდალის მოღვაწეობის ძირითად სფეროს პროზა წარმოადგენს, მაგრამ აქტიურად მუშაობს ესეისტიკისა და დრამტურგიის სფეროშიც. ხასიათდება სინამდვილისადმი ირონიული დამოკიდებულებით და ისტორიული თემატიკის აქტუალიზებით. გამოქვეყნებული აქვს ამერიკის ისტორიის მოღვაწეთა ფსიქოლოგიურ-პოლიტიკური შეფერილობის ბიოგრაფიული თხზულებები, რომელთა შორის აღსანიშნავია „1876“ (1976 წ), „ლინკოლნი“ (1984 წ.), „იმპერია“ (1987 წ.) და სხვა.

454. **კურტ ვალდჰაიმი**
Waldheim, Kurt (1918-)
ავსტრიელი პოლიტიკოსი

აქიურ პოლიტიკაში ჩაერთო 40-იან წლებში. 1968-70 წლებში იყო ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრი. 1972 წელს აირჩიეს ქვეყნის პრეზიდენტად და ამ პოსტზე 1981 წლამდე დარჩა. 1986-1992 წლებში ასრულებდა გაერო-ს გენერალური მდივნის მოვალეობას.

455. **ლეხ ვალენსა**
Walesa, Lech (1943-)
პოლონელი პოლიტიკოსი

პოლონეთის საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, პოლონეთის პრეზიდენტი 1990-1995 წლებში. წარმოშობით ღარიბი გლეხის ოჯახიდანაა. 1967-1987 წლებში მუშაობდა გდანსკის გემთსაშენებელ ქარხანაში ელექტრიკოსად. იყო გდანსკის 1970 წლის მასობრივი გაფიცვის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე და სულისჩამდგმელი, რის გამოც გამოცხადებულ იქნა ოფიციალურ დისიდენტად. 1978 წლიდან არალეგალური თავისუფალი პროფკავშირების იდეური და საორგანიზაციო ხელმძღვანელი გახდა, 1980 წელს მისი თაოსნობით განხორციელდა პოლონელ გემთშენებელთა მასობრივი გაფიცვა, რაც იმდროინდელი კომუნისტური რეჟიმის მეთაურთა პანიკისა და შეშფოთების საგანი გახდა. 80-იანი წლების დასაწყისში მისი ინიციატივით შეიქმნა მასობრივი საზოგადოებრივი მოძრაობა „სოლიდარობა“. 1981-82 წლებში დაპატიმრებული იყო. განთავისუფლების შემდეგ უკვე მთელი პოლონეთის ანტიკომუნისტური მოძრაობის ლიდერი გახდა. 1988 წელს მისი თაოსნობით განხორციელდა კიდევ ერთი მასობრივი გაფიცვა, რასაც შეეწირა კიდეც პოლონეთის კომუნისტური წყობილება. 1983 წელს მიენიჭა ნობელის პრემია მშვიდობის დარგი.




## ისტორიული ექსკურსი

მე-17 საუკუნის დასაწყისისათვის, ვიდრე ვერმონტის ტერიტორიაზე პირველი ევროპელები მივიდოდნენ, ეს რეგიონი, სხვათაგან განსხვავებით, მეტისმეტად მეჩხერად იყო დასახლებული და ინდიელთა ორი ძირითადი ტომის - <u>**აბენაკების**</u> და <u>**იროკეზების**</u> - სანადირო-სარეწაო სივრცეებს წარმოადგენდა.

### პირველაღმომჩენები

პირველი ევროპელი, რომელმაც ვერმონტის სანახები მოიარა, გახლდათ ფრანგი **სამუელ დე შამპლენი** და ეს 1609 წელს მოხდა. მას შემდეგ, თითქმის 150 წლის განმავლობაში, ამ შტატის მიწები ფრანგთა გამგებლობაში იყო, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერის მეშვეობით ახერხებდნენ „ახალი ინგლისის" ერთადერთ ფრანგული ორიენტაციის რეგიონად დარჩენას.

დიდბრიტანელთა პირველი კოლონია ვერმონტისა და მასაჩუსეტსის შტატების საზღვარზე 1724 წელს გაჩნდა და მას ფორტ-დრამერი უწოდეს. ამ დროიდან დაიწყო ინტენსიური საბრძოლო შეხლა-შემოხლაც დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთ-ინდიელთა შეიარაღებულ ძალებს შორის, რაც 1763 წელს ინგლისელთა საბოლოო გამარჯვებით დასრულდა, ეს კი ფრანგების უკანასკნელი ფორპოსტის დაცემას ნიშნავდა თანამედროვე აშშ-ს ტერიტორიაზე.




1764 წელს ინგლისის მეფე გეორგ III-ემ საკუთარი იურისდიქციის ოფიციალური გავრცელება გამოაცხადა ვერმონტის მიწებზე.

1775 წელს დაწყებული ამერიკულმა რევოლუციამ ტალღასავით გადაურა ვერმონტის რეგიონსაც, რამაც კულმინაციას 1777 წლის 16 აგვისტოს, ბენინგტონთან გამართულ ბრძოლაში მიაღწია. ნიუ-ჰემფშირისა და ვერმონტის მოსახლეობის შეიარაღებულმა რაზმებმა დიდბრიტანელთა წინააღმდეგ მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწიეს და ყოფილი კოლონიზატორები განდევნეს დაკავებული ტერიტორიებიდან. ამ დღიდან იწყება ფაქტიურად ვერმონტის, როგორც დამოუკიდებელი შტატის, ისტორიაც.

მე-18 საუკუნის 80-იანი წლები შტატის მოსახლეობისათვის დამოუკიდებლობის შენარჩენების ნიშნით აღინიშნა და მათ შეძლეს ის, რომ მეზობელი ნიუ-იორკის ან ნიუ-ჰემფშირის შტატების შემადგენლობაში შესვლას თავი აარიდეს.

1791 წლის 4 მარტის აქტის შემდეგ სამჯერ გაიზარდა მოსახლეობის რიცხვი შტატად გამოცხადებულ, ერთდროს უკაცრიელ ვერმონტში და თითქმის 250 000-ს მიაღწია. 1805 წელს მონტპილიერი შტატის დედაქალაქად გამოცხადდა, სადაც 1808 წელს შტატის პირველი ადმინისტრაციული შენობაც ააგეს.

# ვერმონტი

**ვერმონტი** (Vermont) - მდებარეობს აშშ-ს აღმოსავლეთ ნაწილში და „ახალი ინგლისის" ერთ-ერთი ექვსთაგანი და ზოგადად ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მცირე ზომის შტატია.

ვერმონტს ჩრდილოეთით ესაზღვრება კანადის კვებეკის პროვინცია, დასავლეთით ნიუ-იორკის, აღმოსავლეთით ნიუ-ჰემფშირის, სამხრეთით კი მასაჩუსეტსის შტატები.

რეგიონის სპეციფიურობის გამო კოლონიზატორები ნაკლებად ეტანებოდნენ ვერმონტის სივრცეებს, აქ XVIII საუკუნის შუაწლებამდე მუდმივი მოსახლეობა პრაქტიკულად არ ცხოვრობდა, მიუხედავად ამისა, აღნიშნული ტერიტორიების სტრატეგიულმა მდებარეობამ განაპირობა ის, **რომ 1791 წელს, ვერმონტი რიგით მე-14 დამოუკიდებელ შტატად** გამოცხადდა და ეს მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა აღმოჩნდა, რადგან სახელმწიფოს დამფუძნებელი შტატების ოდენობა 13-ით უკვე აღარ შემოიფარგლებოდა.

* * *

სიტყვა „ვერმონტი" წარმოადგენს კომპოზიტს და ორი ფრანგული სიტყვითაა შედგენილი: „**vert**" (მწვანე) და „**mont**" (მთები); ამიტომაცაა, რომ ამ შტატს სხვაგვარად „მწვანე მთების" შტატადაც მოიხსენიებენ.

* * *

გეოგრაფიული თვალსაზრისით ვერმონტი ორ დიდ რეგიონად იყოფა, ესენია: ახალი ინგლისის ზეგანი და თეთრი მთების რაიონი.

შტატის რბილი ჰავა და თოვლიანი მთები განაპირობებს იმას, რომ ეს რეგიონი წელიწადის ყველა დროისათვის მისაღებ საკურორტო ზონადაა მიჩნეული და ტურისტთა და დამსვენებელთა დიდ ნაკადს მასპინძლობს მთელი წლის განმავლობაში.




**ვერმონტი** (vər-mŏnt')

**ფართობი** - 24,903 კვ.კმ. (9 615 კვ.მილი)
- აშშ-ს სიდიდით 43-ე შტატი.

**მაქსიმალური სიგრძე** – 251 კმ

**მაქსიმალური სიგანე** – 143 კმ

**მოსახლეობა** - 588 000 (1996 წ).

**მოსახლეობის სიმჭიდროვე** - 23 ადამიანი 1 კვ. კმ.-ზე

**ადმ. ცენტრი** - მონტპილიერი.

**მონტპილიერი** აშშ-ს შტატების ადმინისტრაციულ ცენტრებს შორის უკანასკნელ ადგილზეა მოსახლეობის და სიდიდის თვალსაზრისით.

მდებარეობს სიმწვანით მოსილ მთებს შორის, ქალაქის სტატუსი მხოლოდ 1895 წელს მიიღო. ითვლება შტატის კომერციულ-ეკონომიკურ ცენტრად, აგრეთვე დასვენებისა და ტურიზმის პოპულარულ რეგიონად.

სახელი უწოდეს საფრანგეთის ქალაქ მონპელიედან გადმოსახლებულმა ემიგრანტებმა.






**დროშა** - *მუქ ლურჯ ფონში ჩასმული ფოთლების გვირგვინი*




**ღერბი** - *წარწერით* ***Vermont Freedom and Unity***



**ფრინველი** - *შაშვი* ***(Hermit Thrush);***



**ყვავილი** - *წითელი სამყურა* ***(Red Clover)***



**ხე** - *ნეკერჩხალი* ***(Sugar Maple).***

**დევიზი** - *ინგლ.* - ***Freedom and Unity*** (თავისუფლება და ერთობა)

* ვერმონტი 14 ოლქადაა დაყოფილი.

* ეს შტატი აშშ-ში 48-ე ადგილზეა მოსახლეობის რაოდენობის მხრივ.

* ვერმონტი ყველაზე მეტად იმ ნიშნით ხასიათდება, რომ მოსახლეობის მხოლოდ 20% ცხოვრობს ქალაქებში, რომლებიც თავისი სიდიდით არ გამოირჩევიან.

* ვერმონტის მოსახლეობის უმრავლესობას ფრანგული წარმოშობა აქვს. თეთრკანიანები შეადგენენ 98,6 %-ს, აზია-ოკეანიიდან მოსულნი - 0,6 %, შავკანიანები და აბორიგენი ამერიკელები - 0,3-0,3%.

* პირველი კათოლიკური ეკლესია ვერმონტის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ 1666 წელს იქნა აგებული და ამან განაპირობა ის, რომ მოსახლეობის უმრავლესობა ამ ეკლსიის აღმსარებელია.

* ვერმონტის უდიდესი ქალაქებია: ბარლინგტონი (40 000), რატლენდი (20 000), ბერი (10 000), მონტპილიერი (9 000).

*მსოფლიო კინოს 50 ქალღმერთი*
*გამოშვება №43*

# ჯულიეტა მაზინა



**ჯულიეტა მაზინა** (**Julietta Masina**) დაიბადა 1920 წლის 22 თებერვალს

* * *

ფედერიკო ფელინის დაკრძალვის დღეს რომში ტრანსპორტის მოძრაობა შეჩერდა. ყველა ტელე და რადიოსადგურმა შეწყვიტა მუშაობა. ადამიანთა მრავალათასიანი გუნდები აპლოდისმენტებით მიაცილებდნენ სამგლოვიარო კორტეჟს რომიდან პატარა ზღვისპირა ქალაქ რიმინიმდე, სადაც ფელინის საგვარეულო სამარხი მდებარეობს. მაესტრო ამ ქალაქში დაიბადა და იქვე მიაბარეს მიწას.

ჯულიეტა მაზინა ცრემლებს არ მალავდა. იგი თანაგრძნობის სიტყვებს იმ უმწეო, მთელი მსოფლიოსათვის ნაცნობი ღიმილითა და გამოხედვით უსმენდა, რომლის შესახებაც მაესტრო ამბობდა - **ეს გამოხედვა გზააბნეული ძაღლის მზერას ჰგავსო**.

ხუთი თვის შემდეგ, საავადმყოფოდან ახლადგამოსულმა მაზინამ იგივე გზა - რომიდან რიმინიმდე - ხელახლა განვლო და ფედერიკოს საფლავი მოინახულა... მეგობრები ამბობდნენ, რომ ფელინის სიკვდილის შემდეგ ჯულიეტა თითქმის აღარ ლაპარაკობდა და თუ ხმას ამოიღებდა - „ფედერიკოს გარეშე მე არ ვარსებობო!“ - ამას თუ იტყოდა.

## ერთი წლის შემდეგ ბომბი გასკდა...

*„მე ფედერიკო ფელინის უკანასკნელი საყვარელი ქალი ვიყავი და მისმა ცოლმა, ჯულიეტა მაზინამ, იცოდა ეს*“ - განაცხადა ავტობიოგრაფიული რომანის - „სიყვარულის სახეობების“ - პრეზენტაციაზე ჰოლანდიელმა მწერალმა ქალმა როზიტა სტენბოკმა.

ამ წიგნის სიუჟეტი ძალზედ მარტივია:

ახალგაზრდა ქალი აღწერს რომაულ **dolce vita**-ს (ტკბილ ცხოვრებას) და ამ ვოიაჟის დროს მას თან ახლავს მწერალი ედუარდე („ჩოჩარას“ ავტორის, ცნობილი მწერლის ალბერტო მორავიას პროტოტიპი) და ცნობილი რეჟისორი მარჩელო ლეონი (შესაბამისად — ფედერიკო ფელინი). რომაული ორგიების აღწერისას მწერალი ქალი, ყოველგვარი რიდისა და ტაქტის გარეშე, ააშკარავებს მეტისმეტად ინტიმურ სცენებს. ერთ სცენაში ედუარდე, მარჩელო და როზიტა „სასიყვარულო სამეულსაც“ კი ადგენენ და მამაკაცები თანამიმდევრულად ტკბებიან ქალის მაცდუნებელი საამებლებით. გარდა ამისა, ეს მწერალი მდედრი იმასაც ამტკიცებს - ფედერიკო ბისექსუალი იყოო(?!)... ამ სკანდალურ წიგნს მცირეოდენ დამაჯერებლობას მხოლოდ ის ანიჭებს, რომ როზიტა სტენბოკი მართლაც დაახლოებული იყო ფელინისა და მაზინას ოჯახთან და ეპიზოდური როლიც კი შეასრულა ფილმში „ჯინჯერი და ფრედი“.

იტალიელებმა ამ წიგნის გამოქვეყნებაეროვნული სიწმინდის შებღალვად მიიჩნიეს. ფელინი და მაზინა სიცოცხლეშივე შეიყვანეს აპენინების მკვიდრებმა ღმერთების პანთეონში, მათს სახელებს ყოველი იტალიელი მღელვარებითა და აღფრთოვანებით მოიხსენიებს. სტენბოკის წიგნმა კი ყველას ერთდროულად აუფორიაქა სამყარო და... ერთდროულადვე მიეცა დავიწყებას, რადგან იტალიას სჯეროდა, რომ ფელინი ნამდვილი მამაკაცი იყო და მისი სექსუალური ორიენტაციის შესახებ მსჯელობა მხოლოდ გადაბერებული შინაბერას ავადმყოფური წარმოსახვის შედეგი ან ფულის მოხვეჭის სურვილი იყო.

იტალიას აინტერესებდა მხოლოდ ის:

**- ნამდვილად უყვარდათ თუ არა ერთმანეთი ღმერთებად შერაცხულ ამ ორ ადამიანს?**

...თუ ფელინისა და მაზინას კავშირი მხოლოდ ბინძური გარიგება იყო ორი კარიერისტისა?

* * *

ფელინის ძალაინ უყვარდა თურმე საკუთარი მშობლების შესახებ არსებული სატრფიალო მითების თხრობა:

ამბობენ - მის მშობლებსაც ძალიან ჰყვარებიათო ერთმანეთი...



პირველი მსოფლიო ომის დროს რიგით ურბანო ფელინის რომში მდიდარი ოჯახის შვილი შეჰყვარებია და გული და ხელი შეუთავაზებია მისთვის. როგორც ხდება ხოლმე ასეთ დროს, მომავალი სიდედრ-სიმამრი წინააღმდეგნი ყოფილან ქორწინებისა, მაგრამ ახალგაზრდებს ჩუმად დაუწერიათ ჯვარი და ურბანოს მშობლიურ მხარეში გაპარულან.

მაზინას მშობლებსაც ჰქონიათ თავისი რომანტიული თავგადასავალი: ჯულიეტას მამა, ჯეტანო, ყმაწვილობიდანვე დიდი იმედისმომცემი მევიოლინე ყოფილა, მაგრამ იმისათვის, რომ საყვარელ ქალზე დაქორწინებულიყო, მიუტოვებია მუსიკა და მინერალური სასუქების ფაბრიკაში დაუწყია შავ მუშად მუშაობა.

ერთადერთი, რაც ფელინის არ მოსწონდა საკუთარი მშობლების თავგადასავლიდან იყო ის გაგრძელება, რაც რომანტიულ სიყვარულს მოჰყვა, ანუ: ბავშვები, ფული, ხელმომჭირნე ცხოვრება. მას მტკიცედ სწამდა, რომ ის, რასაც ჩვენ ცხოვრებას ვუწოდებთ, სხვა არაფერია, თუ არა მაცდუნებელი მანევრი, უბადრუკი დეკორაციები, რომლის მიღმაც იმალება სიცოცხლე... იმალება, რათა მის ზეიმზე, მის თვალისმომჭრელ ფეიერვერკთან მხოლოდ ღირსეული პიროვნებები მოხვედრილიყვნენ. ფედერიკო თავს იმის უფლებასაც კი აძლევდა, რომ რეალობა დაემახინჯებინა და ბავშვებისათვის მოეთხრო უცნაური ამბებით გაჯერებული თავგადასავლები; ასე მაგალითად, ფელინი სრული სერიოზულობით ამტკიცებდა, რომ ცხოვრებაში სამად სამი წიგნი აქვს წაკითხული, რომ არასოდეს უთამაშია ფეხბურთი, რომ სწავლა ჭირივით სძულდა... თხზავდა ათასგვარ წარმოსახულ სცენას მიწისქვეშა დილეგის შესახებ, სადაც ვითომდა ხშირად უწევდა დანაშაულის გამოსყიდვა ხორბლის მარცვლებზე დაჩოქილს...

რა თქმა უნდა, მაესტროს მეგობრებს ეს არ სჯეროდათ, რადგან კარგად ახსოვდათ, თუ როგორი ბეჯითი და თავაზიანი ბავშვი იყო იგი. არ იზიარებდნენ ამ თავზეხელაღებულ ფანტაზიას მისი ახლობლებიც და ყველგან და ყოველთვის ფედერიკოს ცრუპენტელობაზე ჭორაობდნენ. მათ, რა თქმა უნდა, არაფერი გაეგებოდათ იმისა, რომ სიცრუესა და ფანტაზიას შორის უზარმაზარი ზღვარია და არც არაფერი აქვთ საერთო...

## ჯულიეტას კი ყველაფერი სჯეროდა...

მთელი გულწრფელობით შეიძლება ითქვას, რომ ფედერიკოს თავდავიწყებამდე შეუყვარდა ეს პატარა გოგონა, რადგან იგი მომავალ მაესტროს სრულ უფლებას აძლევდა წარმოსახვაში ეცხოვრა და, რაც მთავარი, სჯეროდა ყველაფრისა მის შეთხზულ თავგადასავლებში.

* * *

ჯულიეტამ გაცნობის დღიდანვე გაიაზრა ის, რომ ფედერიკოს ყველაზე მეტად სძულს ე.წ. „რეალური ცხოვრება“ მთელი თავისი მდაბალი და უმარტივესი პრობლემატიკით.

მათი ურთიერთობით დაინტერესებულ ადამიანებს უჭირდათ გაეგოთ, თუ სად მთავრდებოდა სინამდვილე და სად იწყებოდა თამაში. ნინო როტა იხსენებს, ერთხელ ფელინის სადილობისას რომ უთქვამს: „გახსოვს, ავსტრალიაში რომ ვიყავით ერთად, ჯულიეტა...“ ყველამ მშვენივრად იცოდა, რომ ფედერიკო და ჯულიეტა არასოდეს ყოფილან ავსტრალიაში, მაზინას კი მაგიდასთან მსხდომებისათვის ღიმილით გადაუხედავს და უპასუხია:„მახსოვს, ძვირფასო!... რა ლამაზი ბუნებაა, არა, იქ!“

ფედერიკომ და ჯულიეტამ ერთად გაითამაშეს ცხოვრების მხიარული სპექტაკლი, მოსაწყენი რეალობა კი ერთ დიდ თავგადასავლად აქციეს, სადაც ცხოვრება და კინო მონაცვლეობით ახალისებდნენ მათს ყოფას.

* * *

მათ ერთმანეთი 1943 წელს რადიოს სტუდიაში გაიცნეს. იმხანად, ყმაწვილობის ასაკიდან ახლად გამოსული ჯულიეტა უკვე პოპულარულ წამყვანად ითვლებოდა პირდაპირ ეთერში და ერთი სეზონის განმავლობაში რომის ხუთი თეატრის სპექტაკლებში ახერხებდა მთავარი რო-

ლების თამაშს.

ფელინი ჯულიეტაზე სამი წლით უფროსი იყო, მუშაობდა კარიკატურისტად ერთ პატარა გაზეთში და მუსოლინის არმიაში სამსახურს თავს არიდებდა. გარდა ამისა წერდა სცენარსაც („მორალდო ქალაქში") კინოსტუდიისათვის, რომელსაც დიქტატორის ვაჟი ხელმძღვანელობდა.

ამ სცენარში ასეთი ამბავი იყო მოთხრობილი (თუმცა ფილმად არასოდეს არავის უქცევია ის):

მთავარი გმირს ცოლის შერთვა სურს და საამისოდ გოგონაც ჰყავს შერჩეული, მაგრამ მის გაცნობას ვერ ახერხებს და ბოლოს მოიფიქრებს, ვითომ სილამაზის კონკურსზე წარსადგენად მისი ფოტო სჭირდება და ამ მიზეზით ეწვევა სატრფოს. ნაცნობობა შედგება, რასაც საღამოს ერთად ვახშმობა მოჰყვება და ორიოდე კვირაში ეს ორი ახალგაზრდა ჯვარს იწერს...

ასევე მოიქცა ფედერიკო ცხოვრებაშიც: პოპულარულ მსახიობსა და რადიოდიქტორ ჯულიეტა მაზინას სთხოვა ფოტოსურათი (ვითომ სასინჯი გადაღებისთვის) და მეორე საღამოს უკვე ერთად წაბრძანდნენ რესტორანში.

„პირველად ფედერიკომ დიდი ვერაფერი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე - იგონებს მაზინა - მხიარული ახალგაზრდა კაცად მომეჩვენა და სხვა არაფერი. რესტორანში წასვლამდე სახლში კარგად ვისადილე, რადგან ვთვლიდი, რომ საბრალო კარიკატურისტს ფული არ ექნებოდა კარგი მასპინძლობის გასაწევად." სანამ ფედრიკოს შეკვეთა გაუფორმებია, ჯულიას საგანგებოდ დაუთვალიერებია რესტორნის ინტერიერი და შიშის გრძნობა გასჩენია, რადგან ვერაფრით წარმოედგინა, რომ ფედერიკოს ამგვარი გარემოს შესაბამისი თანხა ექნებოდა ჯიბეში. ვახშმობის ბოლოს ანგარიში რომ წარუდგენიათ, ჯულიას პანიკის მოლოდინში თვალები დაუხუჭავს, მაგრამ ფედერიკოს ჯიბიდან ისეთი დასტა ამოუღია ბანკნოტებისა, რაც შემდეგ, მთელი ცხოვრების მანძილზე არ სჭერია ხელში, თუმცა მაზინა არასოდეს დაინტერესებულა იმით, თუ სად და როგორ იშოვა იმ საღამოს ფედერიკომ ფული...

ორი კვირის შემდეგ ახლადშეუღლებული წყვილი ჯულიას მამიდასთან, ვია ლუტეციაზე მდებარე სახლში გადაბარგდა. ამ ქალმა (მამიდამ) ჯულია ოთხი წლის ასაკიდან გაზარდა და მანვე დაადგინა, რომ გოგონაში დიდი სამსახიობო ნიჭი იმალება, რომის ბოჰემურ ცხოვრებაშიც თავად შეიყვანა. ეს ქალი იმდენად ყოფილა დარწმუნებული ძმისშვილის ნიჭიერებაში, რომ იგი ჩვეულებრივ სკოლაშიც კი არ მიუბარებია... სწორედ ამ ქალის ზედამხედველობით მოუხდა ახაგაზრდა ფელინის საოჯახო ცხოვრების დაწყება.







საქორწინო ცერემონიალი ორიოდე თვის შემდეგ ჩაატარეს და ისიც ჩუმად, სადღაც ნახევრად ჩასარდაფებულ შენობაში, რადგან კათოლიკურ ეკლესიაში გამოჩენას ფედერიკო ერიდებოდა არმიაში გაწვევის შიშით. ყველაფერი ისე კონსპირაციულად მოუწყიათ, რომ „ავე მარია" მხოლოდ ერთ მეგობარ კაცს უმღერია ერთ ხმაში და ისიც ნახევარ ტონებში.

საქორწინო რიტუალის შემდეგ ფედერიკო და ჯულია კინოთეატრ „გალერეაში" წავიდნენ და, მათდა გასაოცრად, დარბაზში შესვლისთანავე კონფერანსიემ მაყურებელს სთხოვა, რომ ახლადდაქორწინებულებს აპლოდისმენტებით შეხვედროდნენ!... მხოლოდ რამოდენიმე წლის შემდეგ გამოუტყდა ფედერიკო მეუღლეს, რომ ეს ოვაცია მის მიერ ჩაფიქრებული საქორწინო საჩუქარი იყო, თუმცა არავინ იცის, სიმართლეს შეესაბამებოდა თუ არა ეს აღიარება.

...თუმცა ის კი ფაქტია, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე ფედერიკო ჯულიას მხოლოდ სიურპრიზებს ჩუქნიდა და არასოდეს უფიქრია, რაიმე ძვირფასეულობა ან ფასეულობა მიეძღვნა მისთვის.

ყველაზე დიდი საჩუქარი კი, რა თქმა უნდა, იყო ორი როლი – „კაბირიას ღამეებში" და „გზაში".

* * *

ქორწინებიდან ორიოდე თვეც არ იყო გასული, რომ ჯულიეტა კიბიდან ჩამოვარდა და მუცელი მოსწყდა. მეორე ფეხმძიმობა დასრულდა 1945 წელს ამქვეყნად ვაჟის მოვლინებით, რომელსაც ფედერიკომ მამის სახელი დაარქვა, მაგრამ ბავშვი ორი კვირაში მოკვდა. მეტი შვილი მათ აღარ ჰყოლიათ.

* * *

ქორწინებას პრაქტიკულად არ შეუშლია ხელი ფელინის ბოჰემური ცხოვრებისათვის. იგი კვლავაც ათევდა ღამეებს რედაქციებში და სამონტაჟო სტუდიებში. ჯულიეტამ კი ყველა მისი მეგობარი გაიცნო და სახლშიაც ხშირად მასპინძლობდა მათ მათ შორის ლამაზ-ლამაზ ქალებს, რომლებთან გაბმულ რომანებს ფედერიკო არასოდეს უმალავდა თურმე ცოლს.

ფელინის მეგობრები იხსენებენ, რომ თუკი ოდესმე დამნაშავე ყოფილა მაესტრო მეუღლის წინაშე, პირველად ამას სწორედ ეს უკანასკნელი იგებდა ქმრისავე აღსარებებიდან. მაზინა თავისი თავაშვებული ხასიათით და ბავშვური გულუბრყვილობით იდეალური მეწყვილე იყო ფელინისათვის, რადგან მასში დიდი რეჟისორი საიმედო საყრდენს და საკუთარი დაუკობელი ფანტაზიის გამოძახილს ხედავდა.

სწორედ მაზინა იყო ის ქალი, ვინც ფელინის რობერტო როსელინის თანაშემწედ მუშაობა გაუხერხა. მოგვიანებით ფელინი იტყვის - „როსელინი მხოლოდ მოძრაობის ის მომწესრიგებელი იყო, ვინც მე ქუჩაზე გადასვლაში დამეხმარაო".

– „მერედა განა ეს ცოტას ნიშნავს?" – უპასუხებს ჯულია.

დიახ, ასე დაიწყო დიდი რეჟისორის კარიერა, რასაც ასევე ჯულიას სტიმულირება დასჭირდა, რომელიც მანამ არ დაეხსნა, სანამ „ვარიეტეს ჩირაღდნების" სცენარი არ დააწერინა. ფილმისათვის ფულის შოვნაში კი როსელინი დაეხმარათ. და მას შემდეგ აუცილებლობად იქცა, რომ ყოველი ფილმის გადაღება, პირდაპირ თუ ირიბად, ჯულიეტას ინიციატივითა და მონაწილეობით დაწყებულიყო.

მათ ტრადიციად ექცათ, რომ ფილმის სცენარი დეტალურად მანამ განეხილათ, ვიდრე ფედერიკო მის დასწერად მაგიდას მიუჯდებოდა. დაიწერებოდა სცენარი და ჯულიეტა იწყებდა ვოიაჟს მეგობრებთან და კოლეგებთან, ეძებდა მსახიობებს, არჩევდა ნატურას და ყოველ გადასაღებ მოედანს საგულდაგულოდ აწყობდა.

პირველ ხანებში ფელინი მხოლოდ და მხოლოდ ჯულიას იღებდა ფილმებში, რადგან ორმა როლმა „კაბირიის ღამეებში" და „გზაში" ამ პატარა ქალის სახელი ცაში ატყორცნა. მაზინას უკვე დიად მსახიობს უწოდებდნენ, ადარებდნენ ჩარლი ჩაპლინს, ჰპირდებოდნენ „ოსკარებს" და ასტრონომიული ჰონორარებით დახუნძლულ კონტრაქტებს სთავაზობდნენ, მაგრამ ჰოლივუდის ყველა მაცდუნებელ წინადადებას მაზინა მტკიცე უარით ისტუმრებდა.

მეგობრები იხსენებენ, რომ ფილმზე მუშაობისას, ფელინისათვის ყველაზე ანგარიშგასაწევი სწორედ მეუღლის აზრი იყო. თუ ჯულია გადასაღებ მოედანზე არ იყო. ფედერიკო მას სახლში ურეკავდა და ყველა წვრილმანსაც კი მასთან ათანხმებდა.

თუმცა არც დავა იყო მათთვის უცხო ხილი, მაგრამ ისინი არასოდეს კამათობდნენ, როგორც რეჟისორი და მსახიობი, მათი შეხლა-შემოხლა არასოდეს სცილდებოდა ცოლქმრულ ფარგლებს და ერთმანეთს მხოლოდ ზედმეტ სიფიცხეს და მოუთმენლობას უწუნებდნენ.

* * *

ჯულიეტა მაზინას არასოდეს უცდია კინოვარსკვლავებისათვის დამახასიათებელი ცხოვრებითა და როლებით ეცხოვრა. მისი პროფესიონალური კარიერა ერთი რეჟისორის მიერ გადაღებული ოთხი ფილმით შემოიფარგლა და სწორედ ეს ტოვებს სინანულის გრძნობას, რადგან საქმე ეხება უბრწყინვალესი მსახიობის კარიერას, რაც ბევრად უფრო ნაყოფიერი უნდა ყოფილიყო.

* * *

დიახ, მრავალი ჭორი შეთხზეს ამ ორი დიდი ადამიანის პირადი ცხოვრების შესახებ, მაგრამ მათმა ურთიერთობამ გაუძლო დროს და დაარწმუნა მთელი მსოფლიო, რომ...

**ჯულიეტა მაზინას და ფედრიკო ფელინის ნამდვილად უყვარდათ ერთმანეთი!**

---

რუბრიკას „მსოფლიო კინოს 50 ქალმერთი" მალე დავასრულებთ. მოგახსენებთ დარჩენილი შვიდი მსახიობის ვინაობას:

კეტრინ ჰეპბერნი, ჯეინ ფონდა, მერილ სტრიპი, ბრუკ შილდსი, კატერინა ზეტა-ჯონსი, მელანი გრიფიტი და მერილინ მონრო. (შესაძლოა მოხდეს უმნიშვნელო ცვლილება).

## უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი

**გრენაჟი** - აბრეშუმხვევია პეპლებისგან გრენის მიღება, დამზადება.
**გრენგორი** (გრენგუარი) პიერ - ფრანგი პოეტი-დრამატურგი, მწერალი (XV-XVI სს).
**გრენერი** ვილჰელმ - გერმანელი სამხ. მოღვაწე და მწერალი (XIX-XX სს).
**გრენვილ-ბარკერი** ჰარლი გრენვილ - ინგლისელი დრამატურგი, რეჟისორი (XIX-XX სს).
**გრენი** - აბრეშუმხვევია პეპლის კვერცხი, საიდანაც გამოჰყავთ აბრეშუმის პეპლის მუხლუხა.
**გრენლანდია** - დედამიწის უდიდესი კუნძული ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანეში; დანიის ტერიტორია.
**გრენობლი** - ქალაქი საფრანგეთში, 1968 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების დედაქალაქი.
**გრეპი** ულავ კიურე - ნორვეგიის მუშათა მოძრაობის მოღვაწე (XIX-XX სს).
**გრესლი** ამანც - შვეიცარიელი გეოლოგი (XIX საუკუნე).
**გრესოვსკი** - დაბა (უკრაინის) ყირიმის ოლქში.
**გრესჰოფი** იან - ნიდერლანდ. პოეტი (XX ს).
**გრეტრი** ანდრე ერნესტ მოდესტ - ფრანგი კომპოზიტორი (XVIII-XIX სს).
**გრეტცკი** უეინ - ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კანადელი ჰოკეისტი.
**გრეჩანინოვი** ალექსანდრე - რუსი კომპოზიტორი (XIX-XX სს).
**გრეჩკო** 1) ანდრეი - სსრკ მარშალი, 1967-76 წლებში სსრკ თავდაცვის მინისტრი. 2) გიორგი - სსრკ მფრინავი-კოსმონავტი.
**გრეციზმი** - ძველი ბერძნული ენიდან ნასესხები სიტყვა.
**გრეხილავეჯი** - რკინიგზის ბაქანი მარელის-ხარაგაულის გადასარბენზე.
**გრეხილი** - 1) გრეხით დამზადებული საგალანტერიო ნაწარმი. 2) მიხვეულ-მოხვეული, კლაკნილი.
**გრეჰემი** მარტა - ამერიკელი მოცეკვავე და ქორეოგრაფი ქალი, „მოდერნის" ერთ-ერთი ფუძემდებელი (XX საუკუნე).
**გრიაზი** - ქალაქი რუსეთის ლიპეცკის ოლქში.
**გრიაზოვეცი** - დაბა რუსეთის ვოლოგდის ოლქში.
**გრიალი** - დიდი გამაყურებელი ხმაურობა.
**გრიბანოვსკი** - დაბა რუსეთის ვორონეჟის ოლქში.
**გრიბასი** ვინცას - ლიტველი მოქანდაკე (XX საუკუნე).
**გრიბაჩოვი** ნიკოლაი - რუსი მწერალი (XX საუკუნე).
**გრიბზა** - მდინარე სოხუმის რაიონში.
**გრიბოედოვი** ალექსანდრე - დიდი რუსი მწერალი და დიპლომატი (XIX საუკუნე).
**გრიბოვი** ალექსეი - რუსი მსახიობი (XX ს).
**გრიგალათი** - სოფელი ხარაგაულის რაიონში.
**გრიგალი** - 1) ძლიერი გამანადგურებელი ქარი. 2) XX ს დასაწყ. ქართული ყოველდღიური გაზეთი.
**გრიგი** 1) ედვარდ - ნორვეგიელი კომპოზიტორი და პიანისტი (XIX-XX სს). 2) ნურდალ - ნორვეგიელი მწერალი (XX საუკუნე).
**გრიგიშკესი** - დაბა ლიტვაში.
**გრიგოლაანთკარი** - სოფელი დუშეთის რაიონში.
**გრიგოლ** ასათის ძე - XII-XIII სს ჰერეთის ორი ერისთავის სახელი.
**გრიგოლ** ბაკურიანის ძე - XI ს საქართველოს გავლენიანი პოლიტ. მოღვაწე.
**გრიგოლ** დოდორქელი - XVII-XVIII სს ქართველი საეკლესიო მოღვაწე და მწერალი.
**გრიგოლეთი** - სოფელი და ტბა ლანჩხუთის რაიონში.
**გრიგოლი** - 1) კახეთის პირველი მთავარი VIII ს 60-იან წწ. 2) ოშკის ტაძრის მშენებელი (X ს). 3) რომის პაპების სახელი.
**გრიგოლია** ვლადიმერ (ლადო) - გრაფიკოსი და მოქანდაკე (XX საუკუნე).
**გრიგოლისძე** ასათ - ჰერეთის ერისთავი XII ს 80-იან წწ.
**გრიგოლისძენი** - ფეოდალური საგვარეულო XII-XIII სს საქართველოში.
**გრიგოლიში** - სოფელი ზუგდიდის რაიონში.
**გრიგოლ** ნაზიანზელი (გრიგოლ ღვთისმეტყველი) - ბერძენი საეკლესიო მოღვაწე და მოაზროვნე, პოეტი (IV ს)
**გრიგოლ** ნოსელი (ნისელი) - ბერძენი საეკლესიო მწერალი, ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი (IV ს).
**გრიგოლ** პალამა - ბიზანტიელი ღვთისმეტყველი და საეკლესიო მოღვაწე (III ს).
**გრიგოლ** სენვინცენტელი - ბელგიელი მათემატიკოსი (XVII ს).
**გრიგოლ** სინაიტი - ბიზანტიური მისტიკური მოძღვრების, ისიხაზმის, ფუძემდებელი (XIII-XIV სს).
**გრიგოლ** ტურელი (გეორგიუს ფლორენციუსი) - ფრანკების ისტორიკოსი (VI ს).
**გრიგოლ** ხანძთელი - VIII-IX სს დიდი ქართველი სასულიერო მოღვაწე და მწერალი.
**გრიგორ** აღთამარცი - სომეხი პოეტი და სასულიერო მოღვაწე (XVI ს).
**გრიგორაშვილი** გრიგოლ - ოპერის მომღერალი (XX საუკუნე).
**გრიგორაშჩენკო** ლეონიდ - მოლდაველი ფერმწერი და გრაფიკოსი (XX საუკუნე).
**გრიგორ** დარანაღცი - სომეხი ისტორიკოსი XVI-XVII სს).
**გრიგორესკუ** ნიკოლაე იონ - რუმინელი ფერმწერი (XIX-XX სს).
**გრიგორიანი** მარკ - სომეხი არქიტექტორი (XX საუკუნე).
**გრიგორიანული** კალენდარი - წელთაღრიცხვის სისტემა („ახალი სტილი"), რომელიც შემოღებულ იქნა 1582 წელს პაპ გრიგორი XIII-ის დროს იულიუსის კალენდრის ნაცვლად.
**გრიგორიევი** 1) ბორის - რუსი მხატვარი (XX საუკუნე). 2) ოლეგ - რუსი პოეტი (XX საუკუნე). 3) რომან - რუსი კინორეჟისორი (XX საუკუნე).
**გრიგორიოპოლი** - დაბა მოლდოვაში.
**გრიგორ** მაგისტროსი (პაჰლავუნი, ბჯნეცი) - XI ს სომეხი პოლიტ. მოღვაწე და ისტორიკოსი.
**გრიგორ** ნარეკაცი - დიდი სომეხი პოეტი (X ს).
**გრიგოროვიჩ-ბარსკი** ივანე - უკრაინელი არქიტექტორი.
**გრიგოროვიჩი** 1) დიმიტრი - რუსი მწერალი (XIX საუკუნე). 2) იური - რუსი ბალეტმეისტერი (XX ს)
**გრიგორ** ტათევაცი - სომეხი ფილოსოფოსი (XIV-XV სს).
**გრიგულისი** არვიდას - ლატვიელი მწერალი (XX საუკუნე).
**გრიეკო** რუჯერო - იტალიის მუშათა მოძრაობის მოღვაწე (XX საუკუნე).
**გრივა** (ფოლმანისი) ჟანის - ლატვიელი მწერალი (XX საუკუნე).
**გრივენიკი** - ძველრუსული მონეტა (=10 კაპიკს)
**გრივენკა** - მასის ძველრუსული საზომი (=410 გ).
**გრივი** - მარცვლეულის ძველი საწყაო ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში.
**გრივიცა** - ყოფილი ქალაქი, ახლანდელი ბუქარესტის ერთ-ერთი რაიონი.
**გრივნა** - უკრაინის ფულის ერთეული, შემოღებულ იქნა 1996 წელს.
**გრივუაზული** - მხიარული და ამავე დროს ფუქსავატური, ცოტა არ იყოს უხამსი.
**გრიზაილი** - დეკორატიული ფერწერის სახეობა, რომელიც შესრულებულია ერთი ფერის სხვადასხვა ტონით.
**გრიზეტი** - საფრანგეთის ცხოვრების ამსახველ რომანებში: თავისი შრომით მცხოვრები ახალგაზრდა ქალი.
**გრიზი** 1) კარლოტა - იტალიელი ბალეტის მსახიობი ქალი (XIX საუკუნე). 2) ჯუდიტა - იტალიელი მომღერალი ქალი (XIX საუკუნე). 3) ჯულია - იტალიელი მომღერალი ქალი (XIX საუკუნე).
**გრიზინგერი** ვილჰელმ - გერმანელი ფსიქიატრი და ნევროპათოლოგი (XIX საუკუნე).
**გრიზლი** - ამერიკის კონტინენტზე მობინადრე დიდი ზომის დათვი.
**გრიზონი** - მტაცებელი ძუძუმწოვარა კვერნისებრთა ოჯახისა.
**გრიკი** - ხე, მთის ჟოლო (საბა).
**გრილაჟი** - კანფეტი, რომელშიც ჩართულია მოხალული ნიგოზი ან ნუში.
**გრილბარი** - სამწვადე, სადაც გამართულია გრილი.
**გრილი** - ოდნავ სასიამოვნოდ ცივი.
**გრილი** - სპეციალური კარადა, რომელშიც მოწყობილია გისოსები ან მბრუნავი შამფურები ხორცის დიდი ნაჭრების შესაწვავად.
**გრილი** ჰორას - აშშ-ს პოლიტ. მოღვაწე, ჟურნალისტი (XIX საუკუნე).
**გრილო** - მზეს მოფარებული ადგილი.
**გრილპარცერი** ფრანც - ავსტრიელი მწერალი ქალი (XIX საუკუნე).
**გრიმაილოვი** - დაბა უკრაინის ტერნოპოლის ოლქში.
**გრიმალდი** - მღვიმეთა ჯგუფი ქალაქ ვენტიმილიასთან (იტალია).
**გრიმალდი** 1) ფრანჩესკო მარია - იტალიელი ფიზიკოსი და ასტრონომი (XVII ს). 2) ჯოზეფ - ინგლისელი მსახიობი კომიკოსი.
**გრიმალდი** - მონაკოს მმართველი დინასტია.
**გრიმასა** - სახის მანჭვა განზრახ ან უნებლიედ.
**გრიმაუ გარსია** ხულიან - ესპანეთის მუშათა მოძრაობის მოღვაწე (XX საუკუნე).
**გრიმე** ჰუბერტ - გერმანელი ისლამმცოდნე და სემიტოლოგი (XIX-XX სს).
**გრიმელსჰაუზენი** იაკობ კრისტოფელ ფონ - გერმანელი მწერალი (XVII ს).
**გრიმზბი** - ქალაქი დიდი ბრიტანეთის ჰამბერსაიდის საგრაფოში.
**გრიმი** - 1) მსახიობის სახის შეცვლა სპეციალური საღებავებით. 2) სახის ასეთი შეცვლისათვის საჭირო ცხიმოვანი საღებავები.
**გრიმი** 1) ვილჰელმ - გერმანელი ფილოლოგი, ფოლკლორისტი და ენათმეცნიერი (XIX საუკუნე). 2) იაკობ - გერმანელი ფილოლოგი, ფოლკლორისტი და ენათმეცნიერი (XIX საუკუნე).
**გრიმიორი** - გრიმის კეთების სპეციალისტი.
**გრიმო** - ათოსის მსახური ალ.დიუმა-მამის რომანში „სამი მუშკეტერი".
**გრიმო** ლუი ედუარდ - ფრანგი ქიმიკოსი (XIX საუკუნე).
**გრინ-ბეი** - ქალაქი აშშ-ს ვისკონსინის შტატში.
**გრინბერგი** ჯოზეფ ჰაროლდ - ამერიკელი ანთროპოლოგი, ეთნოგრაფი და ენათმეცნიერი (XX საუკუნე).
**გრინგო** - უპატივცემლოდ გამომხატველი მეტსახელი უცხოელისა, რომელიც ესპანურად არ ლაპარაკობს (მექსიკაში).
**გრინდა** - შავი დელფინი.
**გრინდელვალდის** მყინვარები - ბერნის ალპებში (შვეიცარია).
**გრინვილი** - ქალაქი აშშ-ს სამხრეთ კაროლინის შტატში.
**გრინვიჩი** - საქალაქო ოლქი დიდ ბრიტანეთში, 1964 წლიდან დიდი ლონდონის კონურბაციაშია.
**გრინვუდი** რობერტ - ინგლისელი მწერალი (XX საუკუნე).
**გრინზბორო** - ქალაქი აშშ-ს ჩრდილოეთ კაროლინის შტატში.
**გრინი** - ნაკრძალი ლიტვის დასავლეთ ნაწილში.
**გრინი** 1) ალექსანდრე - რუსი მწერალი (XX საუკუნე). 2) გრემ - ინგლისელი მწერალი (XX საუკუნე). 3) რობერტ - ინგლისელი მწერალი (XVI ს). 4) ჯორჯ - ინგლისელი მათემატიკოსი (XIX საუკუნე).
**გრინიარი** ფრანსუა ოგიუსტ ვიქტორ - ფრანგი ქიმიკოსი (XIX-XX სს).
**გრინოკი** - ქალაქი-პორტი შოტლანდიაში (დიდი ბრიტანეთი).
**გრინპისი** (მწვანე მშვიდობა) - დამოუკიდებელი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელსაც მიზნად აქვს დასახული გარემოს დაცვა.
**გრინ-რივერი** - მდინარეები აშშ-ში: 1) ოჰაიოს მარცხენა შენაკადი. 2) კოლორადოს მარჯვენა შენაკადი.
**გრინსბონი** - მჭიდროდ ნაქსოვი ბამბის ქსოვილი.
**გრინსბორო** - ქალაქი აშშ-ს ჩრდ. კაროლინის შტატში.
**გრინუეი** პიტერ - ინგლისელი კინორეჟისორი და მხატვარი (XX-XXI სს).
**გრინჩენკო** ბორის - უკრაინელი მწერალი (XIX -XX სს).
**გრიოლი** მარსელ - ფრანგი ენოგრაფი, აფრიკანისტი (XX საუკუნე).
**გრიპი** (ინფლუენცა) - მწვავე ინფექციური დაავადება.
**გრირსონი** 1) ჯონ - ინგლისელი კინორეჟისორი (XX საუკუნე). 2) ჯორჯ აბრაჰამ - ინგლისელ-ირლანდიელი ენათმეცნიერი (XIX-XX სს).
**გრისი** 1) იოჰან პეტერ - გერმანელი ქიმიკოსი (XIX საუკუნე). 2) ხუან - ესპანელი მხატვარი, კუბიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი (XX ს).

## თავსატეხების სვეტი

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | | 29 | | 11 | | 33 | | | | 17 | | 4 |
| 25 | 2 | 22 | 1 | 24 | 2 | 14 | 22 | | 13 | 22 | 24 | 22 |
| 21 | | 24 | | 6 | | 6 | | 26 | | 28 | | 26 |
| 32 | 22 | 17 | 22 | | 2 | 20 | 4 | 22 | 1 | 19 | 21 | |
| 2 | | 22 | | 20 | | 12 | | 12 | | 22 | | 9 |
| 33 | | | 15 | 2 | 12 | 30 | 22 | 8 | 22 | | | 2 |
| 22 | | 16 | | 23 | | 6 | | 2 | | 7 | | 19 |
| | 1 | 2 | 3 | 4 | 2 | 5 | 6 | | 10 | 2 | 33 | 2 |
| 2 | | 12 | | 6 | | 22 | | 29 | | 5 | | 20 |
| 33 | 2 | 4 | 22 | 3 | 22 | | 29 | 2 | 29 | 2 | 15 | 21 |
| 2 | | 2 | | 22 | | 31 | | 21 | | 14 | | 24 |
| 8 | 21 | 12 | 2 | 5 | 28 | 12 | 22 | | 16 | 2 | 17 | 22 |
| 22 | | 33 | | 22 | | 32 | | | | 17 | | 2 |
| | 18 | 22 | 2 | | 9 | 6 | 19 | 22 | 27 | 22 | 2 | |

| | |
|---|---|
| ა | |
| ბ | |
| გ | |
| დ | |
| ე | |
| ვ | |
| ზ | |
| თ | |
| ი | |
| კ | |
| ლ | |
| მ | |
| ნ | |
| ო | |
| პ | |
| ჟ | |
| რ | |




| | |
|---|---|
| ს | |
| ტ | |
| უ | |
| ფ | |
| ქ | |
| ღ | |
| ყ | |
| შ | |
| ჩ | |
| ც | |
| ძ | |
| წ | |
| ჭ | |
| ხ | |
| ჯ | |
| ჰ | |

### რეიტინგი

1.სინჯარა. 2.იეზიდი. 3.ჯერალდ დარელი. 4.რუალ. 5. სამკლაური. 6.კრასნოგორსკი. 7. აკუა. 8.რიარია. 9.ინსპექცია. 10.ცვარი. 11.სემინარია. 12. ნაზარბაევი. 13.ქამუშაძე. 14.გიული. 15.პუდელი. 16.არსიანი. 17.სიპი. 18.რისკი. 19.არგონავტები. 20. ოდოია. 21.ალაგირი. 22.სტაროვოიტოვა. 23.ისტორია. 24.გერცენი. 25.ისტორიკოსი. 26.ტრიოლეტი. 27.მედიტაცია. 28.ფროლო. 29.როზენკრანცი. 30.ნერგები. 31.ქორდა. 32.ბაყაყური. 33.ეშვი. 34.პოლიცია. 35.შტანგა. 36. ლაზიკა. 37.არენდა. 38.გლისანდო. 39.ნაკრები. 40.ბარი. 41.მიხო. 42.ბროლია. 43. ფალიანი. 44. კიკუ. 45.კატალონია. 46.ბალატონი.

### იპოვეთ 6 განსხვავება ამ ნახატებს შორის







ინდივიდუალური საწარმო „ნატალია ბერიკაშვილი" (ფანტაზია-2000) რეგისტრირებულია ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლოს მიერ № 5/1-2304
ტელეფონები: 79-53-70, 76-68-02, (877) 45-19-80
გამოდის ალექსანდრე და ვახტანგ ელერდაშვილების რედაქტორობით

# გასული ნომრის პასუხები

### 1-ლი გვერდი

1. იმპერია. 2. მეგობარი. 3. ენიო. 4. ილუზია. 5. კინოლოგია. 6. სინარნარე. 7. ინგლისური. 8. ორბი. 9. ჩიტა. 10. ებრაელი. 11. ოკრიბა. 12. ედინბურგი. 13. შანდორ. 14. მარგარინი. 15. ბაილონი. 16. ედეპე. 17. გაწამაწია. 18. დოგი. 19. ცუგა. 20. ანკილოსტომოზი. 21. პარანაგუა. 22. ინჯია. 23. ბამბუკი. 24. პრანჭია. 25. ჟოფრეი. 26. ალტრუიზმი. 27. ბალატონი. 28. ციტოლოგია. 29. კარამზინი. 30. ლინზა. 31. იმპოტენტი. 32. მასტიფი. 33. მუმუ. 34. სასო. 35. საკრალური. 36. რასტრი. 37. ნიტროგლიცერინი. 38. ეპიგრაფი. 39. ლაბორატორია. 40. ტოროლა. 41. გინეა. 42. უგერგილო. 43. მომენტი. 44. ოტია. 45. კეფა. 46. მიმონო. 47. ელეგია. 48. ჰარი. 49. ტრინიდადი. 50. სიდონია.

### მე-3 გვერდი

*თარაზულად:* 1. პაბი. 3. სტეპლტონი. 7. ჰერმესი. 10. ყნოსვა. 16. დალმაცია. 17. სტიმული. 18. დრუნჩი. 19. რეტი. 23. ლონდინიუმი. 24. ავანგარდი. 25. ჩაუ. 26. ბრმა. 30. ბოინი. 31. ერდეილი. 32. გავ. 33. ალაბაი. 39. ლომა. 40. სორბონა. 41. დობერმანი. 42. აკელა. 47. ლეკვი. 48. ალქიმია. 49. ენდემია. 50. ეტლი. 55. კვანძი. 56. ტოი. 57. პიტბული. 59. კონკურენტი. 63. კონტინენტი. 64. ლაბრადორი. 66. უბე. 71. ლესი. 72. ენა. 73. ქეციანი. 74. ჩია. 75. მსახური. 81. ყმუილი. 82. პოლკანი. 83. რეტრივერი. 84. ელია. 86. კინოლოგია. 87. ფისუნია. 88. ბაზილიკატა.

*შვეულად:* 1. პუდელი. 2. ბელინფორმი. 4. ტვინი. 5. ტოტი. 6. ნამდვილი. 8. მურადა. 9. სუნი. 11. ნირი. 12. სეტერი. 13. დადიანი. 14. კლონი. 15. ჩიუაუა. 20. გმირობა. 21. პანაცეა. 22. ძაღლი. 27. ძებნილი. 28. საუნჯე. 29. ლაიკა. 34. კლინიკა. 35. ლოკვა. 36. დოგი. 37. სმენა. 38. პლუტონი. 43. ბეიძინი. 44. ფილია. 45. ჭინკა. 46. ჯიშიანი. 51. კავკასიური. 52. კორეა. 53. ფლორა. 54. ტრაბახი. 58. ბეარნი. 60. ოქრო. 61. დიანა. 62. სტრელკა. 65. დღიური. 67. ულაყი. 68. ბიანკი. 69. ასერთი. 70. ბროლია. 76. ალღო. 77. კოლი. 78. პერი. 79. ხვრა. 80. ფარა. 85. ძუ

### მე-4 გვერდი (მალულა)

1. რინგი. 2. ინტენსიური. 3. გასაბერი. 4. უტრეხტი. 5. ტიტოვი. 6. ტუვა. 7. ნაინა. 8. მომენტალური. 9. სანარია. 10. ავტოსპორტი. 11. კვრა. 12. მძინარა. 13. ნანი ბრეგვაძე. 14. კონსენსუსი. 15. ნიტრატი. 16. ანზორი. 17. მეკონგი. 18. კარნახი. 19. ებრი. 20. ალბატროსი. 21. ქარგვა. 22. ლაციო. 23. შაგრენი. 24. ანძა. 25. წიბო. 26. კატო. 27. გრინგო. 28. მხიარული. 29. სონანტი. 30. როსია.

### მე-7 გვერდი

*თარაზულად:* 1. მაგიდა. 4. ჰერკულანუმი. 8. ედემი. 14. ნიობიუმი. 15. ატაკამა. 16. ბლინდაჟი. 19. ოლგა. 20. ხრამული. 21. ინტერნეტი. 25. აპორტი. 26. ამაზონი. 27. მისტერიები. 30. სინანული. 31. სტერლინგი. 32. ატენი. 36. პროკურატორი. 37. ჰოფმანი. 38. ადრე. 42. კრედიტი. 43. ჰაიტი. 44. მაგისტრი. 48. არაბია. 49. შარვალი. 50. პერიგეა. 54. ტონი. 55. სკუტერი. 56. გრაფი. 57. ოპუსი. 62. ნაესაკაო. 63. ლითიუმი. 64. ემელიანე. 67. აგესანდრე. 68. ანდალუზია. 69. კიტო. 73. შიკლჰრუბერი. 74. ეგოროვი. 78. დარელი. 79. ფტორი. 80. დერმატოლოგია. 83. ბოიარსკი. 84. იგლესიასი. 85. ორიონი. 88. ლენა. 89. ინტერნატი. 90. პრევო. 91. რეი. 96. ბარნუბი. 97. ალისა. 98. მიქელაძე. 102. კასრი. 103. არენა. 104. მაკაო. 105. ამპირი. 110. ტერეხოვა. 111. მეტროპოლიტენი. 114. ნანა. 115. დომიციანე. 116. პროპელერი. 120. მიურატი. 121. სტრიქნინი. 122. კოლი. 126. აპოკრიფი. 127. მარიანა. 128. ცინიკოსი. 129. იდილია. 130. ვეტერინარია. 131. ჩიკაგო.

*შვეულად:* 1. მორმორანსი. 2. გროსგლოკნერი. 3. დრიუ. 5. კატალიზატორი. 6. ლუკა. 7. ნემანი. 9. დენატურატი. 10. მიაუ. 11. ძმარი. 12. პლანეტა. 13. ლიბერია. 17. იმამი. 18. ბეკინგემი. 22. სტენოკარდია. 23. ინდრა. 24. ბერნადოტი. 28. ფლორიდა. 29. ვიკონტი. 33. შტუტჰარტი. 34. ინტალიო. 35. პეკინპა. 39. ტარანტინო. 40. ძაღლი. 41. ლივერპული. 45. ვაინბერგი. 46. გვარდია. 47. სეიფი. 51. უკრაინელი. 52. ტრამვაი. 53. ასკანიო. 58. ვაისმიულერი. 59. პიონერი. 60. ამფითრიტე. 61. დენომინაცია. 65. არარატი. 66. ბურგომისტრი. 70. კორდებალეტი. 71. აბორიგენი. 72. შველერი. 75. ტრაიანე. 76. ჭედია. 77. აგლომერაცია. 81. აკუნინი. 82. პესტელი. 86. ცერბერი. 87. შვრია. 92. მათრახი. 93. ესტამპი. 94. ჟერმინალი. 95. ტერიერი. 99. კატრანი. 100. ინჟენიუ. 101. მაკლარენი. 106. სტანისლავი. 107. ავტოგრაფი. 108. ბრონშტეინი. 109. სტიპენდია. 112. კინტო. 113. ერმოლოვა. 117. გიორგი. 118. ბიანკა. 119. მიმინო. 123. დოგი. 124. სარე. 125. ბიმი.

### მე-10 გვერდი

*თარაზულად:* 1. სიკოკუ. 4. ალტინგი. 7. მსგეფსი. 13. დეციბელი. 14. პაციფიზმი. 15. ივრი. 18. ფასბინდერი. 19. დეტერმინანტი. 21. რკალი. 22. ანტონიონი. 23. კვირტი. 27. შტერი. 28. ოსაკა. 29. ლაიზა. 34. გამა. 35. ლიტავრა. 36. ოვერშტაგი. 40. ენისეი. 41. ვიქტორინა. 42. ორლოვა. 45. ვარსკვლავი. 46. ანტინოე. 47. ატუა. 50. სტალინგრადი. 51. სინსილა.55. ოსიმა. 56. ამბიონი. 57. წნორი. 62. ლესი. 63. სტაროვერი. 64. ჰარმონია. 67. კონდილიაკი. 68. ბრინჯაო. 69. ბრმა. 72. წნეხი. 73. ორგია. 74. ალტაირი. 79. ბლადი. 80. პლუტო. 81. დანელია. 86. სენბერნარი. 87. ტრავმატოლოგი. 89. ვარლეი. 90. ალექსეევი. 91. მსხალი. 92. მარიაჟი. 93. ფინია. 94. პეკინესი.

*შვეულად.* 1. სადაფი. 2. კაცუსიკა. 3. კაბრიოლეტი. 5. იმაი. 6. გრინევიცკი. 8. სამუმი. 9. სუვენირი. 10. ფლიდი. 11. სიმეონე. 12. სილიციუმი. 16. კრინი. 17. ინკვიზიტორი. 20. ფოქსტროტი. 24. რედგრეივი. 25. პრაია. 26. დაირა. 30. ამფიტრიტე. 31. ნაბიჭვარი. 32. კვინტილიონი. 33. ეგმონტი. 37. ჰერკულესი. 38. ღრენა. 39. კალანდა. 43. პლანიმეტრია. 44. მოპსი. 48. ადამოვი. 49. პლენუმი. 52. შეილოკი. 53. ფიურერი. 54. ბრინერი. 58. ესენინი. 59. დრაკარი. 60. გალათასარაი. 61. დანაიდა. 65. კიუხელბეკერი. 66. წნელი. 70. ბიგლი. 71. ტროეპოლსკი. 75. კურსივი. 76. ოდინი. 77. სტარტერი. 78. ნიკოლაძე. 82. ანდრია. 83. ჭრელი. 84. ჭვავი. 85. ღიმილი. 88. ოქმი.

### მე-18 გვერდი

1. სამუმი. 1. საყურე. 2. მოლოკანი. 3. ადიღეა. 4. დენის ლოუ. 5. ღუზა. 6. აფიქსი. 7. ნიჟნი. 8. ყალა. 9. სიონიზმი. 10. ყელსაბამი. 11. როკპელნისი. 12. აგრესორი. 13. ანისი. 14. ქოლგა. 15. ცხვირი. 16. თხა. 17. კოლინა. 18. უბიხი. 19. ჩერო. 20. ორდე. 21. საბო. 22. ისრიმი. 23. გაპონი. 24. ინეი. 25. არმორიკა.















3 სექტემბერს, სამშაბათის „ფანტაზიაში“

# სკანდინავიური იაპონური იტალიური კროსვორდები და ნახატები

ფანტაზია

მორიგი „ინტრიგა“ კროს-სპორტსმენებისთვის



დაბადების დღეს, 31 აგვისტოს ვულოცავთ შესანიშნავ ყმაწვილ-კაცს, 169-ე ბაგა-ბაღის იმედსა და სიამაყეს ბატონ ნოდარს!

შემდეგი ნომერი გამოვა 6 სექტემბერს და ამით კვლავ ყოველკვირეულ რეჟიმს დავუბრუნდებით

მომავალი „ფანტაზია“ კი, რა თქმა უნდა, მიეძღვნება სკოლას, სწავლას და მოსწავლეებს, რომლებიც ჯერაც არ გამოფხიზლებულან ზაფხულის საარდადეგებო სიზმრებიდან...

თქვენც ხომ გახსოვთ „პირველად სასწავლებელში წასაყვანად რომ გაგამზადეს“! კი,გახსოვთ!

რელიგიური მართვა
ამერიკელი მწყემსი
დიპლომატიური წარმომადგენელი
ევროპის ჯუჯა სახელმწიფო
ქართული გაზეთი
ლავუაზიეს კანონშია
პაუზა
უვისი
(.....) ბრუზინსკაია
„ბუბლიკი“
გადალობვა
პოლონეთის პარლამენტი
პაუზა
ოვაციის მუსიკა
წიალისეული
დებილი
ფრანგული - ფრანგულად
ენათმეცნიერი ნიკო
ბრიყვი
შესაძლებლობა
ხოტბის ღირსი
ასეთი დამწერლობაც არსებობს
შვედური წვრილი ფული
ანგელოსი
ოპიზარი
ჩვენი რაიცენტრი
სნაიპერის საქმე
შეადგინა ალ.ელერდაშვილმა
ილიას სახლ-მუზეუმი
მატარებელი
გორბაჩოვამდე
ბურთი მოედნის გარეთ
მისამღერი
ქვ.პოლონელი ფეხბურთელი
ქარაფშუტობა
„საქართველოს ციხე-ბურჯო (......)“
წვრილი ფრანგული ფული
ინდონეზ. კუნძული
იგივე სტროფი
მუხლანა ლილვი ანუ „(......) ვალი“
ქვ.ფეხბ. მწვრთნელი, ელინიო...
დიდი გომბეშო
ხევი თბილისთან
ასაკის ნახაზი
მიმდევრის წინსართი
45 წთ
მოჩვენა მეზღვაურები
ვაზის ჯოხი
წვრილი შეშა
იტალიის ქალაქი
ტოტალიზატორი
ცანგალას პარტნიორი
ბელა მირიანაშვილის როლი
მე-5 თაობის კომპიუტერი
ხელმისაწვდომი
დაუმორჩილებელი
მაცი ხვიტიას მეგობარი
მაქსიმუმსა და მინიმუმს შორის